

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში თემაზე:

**„პირველი თურმეობითის წარმოებასთან დაკავშირებული  
პრობლემები ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლა-სწავლების  
პროცესში (VIII კლასში) და ამ პრობლემის გადაჭრის  
გზების ძიება“**

**ავტორი: ნინო ზაქარიაძე**

სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის შაუმთანის #1

საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი

2019 წელი

## მადლობა:

აღნიშნული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩატარების დროს გაწეული დახმარებისათვის და კონსულტირებისათვის მინდა, მადლობა გადავუხადო სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის #1 საჯარო სკოლის ქართული ენის კათედრისა და შეფასების ჯგუფის წევრებს, ასევე სკოლის ადმინისტრაციას.

მადლობას ვუხდით ასევე VIII კლასის მოსწავლეებს და მათ მშობლებს, რომლებმაც თავიანთი აქტიურობით ხელი შემიწყოვეს კვლევის მიმდინარეობასა და განხორციელებაში.

## განაცხადი:

*წინამდებარე პედაგოგიური კვლევა წარმოადგენს ჩემ მიერ შექმნილ ნაშრომს, რომელიც საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე შეიქმნა ეტაპობრივად. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენს ჩემ ორიგინალურ ნაშრომს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ თუ გამოქვეყნებულ მასალებს. ნაშრომში გამოყენებულია სხვა მასალიდან ციტირებული მასალა, რომლის ბოლოში მითითებულია ავტორი და გამოქვეყნების დრო. ანუ მასალა გამოყენებულია სრულიად სათანადო წესების დაცვის შესაბამისად.*

ნინო ზაქარიაძე

2019 წელი

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩემი პედაგოგიური კვლევის ანგარიშს, რომელშიც გადმოცემულია პირველი თურმეობითის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლა-სწავლების პროცესში და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება მე-8 კლასის მოსწავლეებში.

კვლევის პროცესი წარიმართა 2019 წლის იანვრიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით. პირველ რიგში მოვახდინე საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება, რაც კავშირში იყო მოსწავლეთა სწავლა-სწავლის პროცესში პირველი თურმეობითის წარმოების პრობლემასთან. საკვლევი საკითხი გამოიკვეთა მას შემდეგ რაც დავაკვირდი მოსწავლეებს და ჩავუტარე ფოკუსჯგუფი, გავესაუბრე კოლეგებს, დაკვირვებისა და გამოკითხვის, განხილვის ეტაპზე დავასახელე პრობლემის აღმოსაფხვრელი გზები. ძირითადი აქცენტი დავსვი იმ პრობლემაზე, რომელიც ქართული, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე პირველი თურმეობითის სწავლების დროს გამოიკვეთა.

ინტერვენციების მიმდინარეობისას ვახდენდი დაკვირვებას, უმჯობესდებოდა თუ არა პირველი თურმეობითის სწავლება. მონაცემთა შეგროვებაში და ძირითადი პრობლემის იდენტიფიცირების პროცესში გამოვიყენე, როგორც, რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდები: ფოკუსჯგუფი, პრეტესტი, ინტერვიუ.

კვლევის შედეგების ანალიზმა დაადასტურა ჩემი ვარაუდი პირველი თურმეობითის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ. ხოლო ჩემ მიერ შემუშავებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყვეს ამ პრობლემის გადაჭრას.

საკვანძო სიტყვები: პირველი თურმეობითი, ქართული, როგორც მეორე ენა, გრამატიკა, მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი.

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის #1 საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის ნინო ზაქარიას მიერ განხორციელებული კვლევის ანგარიშს.

შაუმიანის #1 საჯარო სკოლაში ვმუშაობ 2015 წლიდან ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგად საბაზო და საშუალო საფეხურზე. სკოლა სომხურენოვანია. მიუხედავად იმისა, რომ არა ერთი ნაბიჯი გადაიდგა ქართული ენის სწავლების მიმართულებით, ერთ-ერთ პრობლემად კვლავ რჩება საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რამაც შესაძლებელია შეაფერხოს მათი სრულფასოვანი მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ენის შესწავლა მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომლისთვისაც სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის, გულისხმობს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების – მოსმენის, ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის – ინტეგრირებულ განვითარებას. რამდენადაც მეორე ენის სწავლების მთავარი მიზანი გაგება, შინაარსის გადმოცემა და აზრის გამოთქმაა, მეორე ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის ცოდნა თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ სწორედ სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარებას უნდა ემსახურებოდეს. ეს როდი ნიშნავს, რომ მეორე ენის სწავლებაში უგულვებელყოფილია ლინგვისტური კომპეტენცია; სხვა კომპეტენციებთან ერთად უთუოდ იგულისხმება ისიც, რომ მეორე ენის სწავლებას მშობლიური ენის სწავლებისგან განსხვავებული მიზნები აქვს. [1]

ენების შესწავლის კუთხით ერთ-ერთ რთულ ენად ქართული ითვლება. მისი სრულყოფილად შესწავლა არა უცხოელისათვის, არამედ ჩვენთვის ქართველებისთვისაც სირთულეს წარმოადგენს. საუკუნეების მანძილზე ქართული ენა ცვილებებს განიცადა. დღესდღეობით ქართული სალიტერატურო და სალაპარაკო ენა გამარტივებულია, უფრო მარტივია შესასწავლად ვიდრე ძველად. ქართული ენის ცოდნა და მეტყველების კარგი უნარი უმნიშვნელოვანესია მოსწავლის აკადემიური წარმატებისა და სწავლისათვის. ენა კომუნიკაციის მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენს. კითხვა, წერა, მოსმენა და ლაპარაკი ენის შემადგენელი ფორმებია. გრამატიკის სწავლება, კი აუცილებელია სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის.

"გრამატიკა არის რუკა უცხო ქალაქში გზის გასაკვლევად" – არნოლდ ჩიქობავა

რატომ არის აუცილებელი გრამატიკის სწავლა? გრამატიკის გარეშე ,სწორად წერა და მეტყველება შეუძლებელია. გრამატიკის საფუძვლიან შესწავლას მოკლე დროში ვერ შევძლებთ,თუმცა თეორიის ცოდნა და პრაქტიკული დავალებები მოგვცემს საშუალებას, შევძლოთ სწორად წერა და მეტყველება.

გრამატიკის სწავლების თვალსაზრისით, პრობლემა გამოიკვეთა შაუმიანის #1 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებში. ჩემი მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმული საგაკვეთილო პროცესში, მოსწონთ სახალისო აქტივობები, ფორმალური და არაფორმალური სწავლებისთვის.თუმცა მათი ზოგადი განათლება გრამატიკაში ( ზმნის უღლება , სერიები და მწკრივები )დაბალია. მოსწავლეთა გარკვეულ რაოდენობას უჭირს ზმნის უღლება ,პირველ სემესტრში შევისწავლეთ პირველი თურმეობითი რომელიც ერთ-ერთი რთული გრამატიკული საკითხია ,მოსწავლეებს გაუჭირდათ პირველი თურმეობითის წარმოება.

დაკვირვების შედეგად გადავწყვიტე პედაგოგიური კვლევა ამ მიმართულებით ჩამეტარებინა. კვლევის მიზანი იყო დამედგინა გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემის გამომწვევი მიზეზები და დამესახა მათი გაგაჭრის გზები. საკვლევ საკითხად შევარჩიე სერიები და მწკრივები,კერძოდ პირველი თურმეობითი კვლევის სამიზნე ჯგუფად ავირჩიე მე-8 კლასის 10 მოსწავლე.

დაკვირვების შემდეგ შევარჩიე კვლევის მეთოდები: თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდიდან\_ ფოკუსჯგუფი და პრეტესტი გამოვიყენე მე-8 კლასის მოსწავლეებთან , ფოკუსჯგუფი მშობლებთან, ხოლო ჩადრმავებული ინტერვიუ გამოვიყენე კოლეგებთან. სხვადასხვა გზით მოპოვებული ინფორმაცია გამოვიყენე შემდეგი აქტივობების განსახორციელებლად, დაიგეგმა და განხორციელდა ინტერვენციები, რომლის მიზანი იყო მოსწავლეებში პირველი თურმეობითის სწავლების გაუმჯობესება.

კვლევის განხორციელება დავიწყე 2019 წლის იანვრიდან და დავასრულე 2019 წლის მაისში. კვლევის პრეზენტაცია გავაკეთე ივნისში.

ნაშრომი შედგება 6 თავის, ქვეთავებისა და დანართებისაგან.

[ეროვნული სასწავლო გეგმა \\_2011-2016](#)

[HTTP://NCP.GE/GE/CURRICULUM/SATESTO-SEQTSIA/MIMDINARE-ESG-2011-2016](http://NCP.GE/GE/CURRICULUM/SATESTO-SEQTSIA/MIMDINARE-ESG-2011-2016)

## სარჩევი

შესავალი	4
საკვლევი საკითხის აქტუალობა	8
<b>თავი I საკვლევი საკითხის მიმოხილვა, მიზნები და ამოცანები</b>	
1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ	9
1.2 პრობლემა და საკვლევი საკითხი	9
1.3 მოსალოდნელი შედეგები მოსწავლეებისა და კოლეგებისათვის	10
1.4 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები	10
1.5 კვლევის მიზანი	11
1.6 კვლევის ამოცანები	11
<b>თავი II ლიტერატურის მიმოხილვა</b>	
2.1 მეორე ენის თვისების თეორიები	12
2.2 სერიების და მწკრივების რაობა /I თურმეობითი	14
2.3 გრამატიკის სწავლების მეთოდთა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებაში	17
<b>თავი III ძირითადი საკვლევი კითხვები/ქვეკითხვები</b>	22
<b>თავი IV კვლევის დიზაინი</b>	
4.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი	23
4.2 კვლევის მეთოდები	23
4.3 კვლევის ვადები	24
<b>თავი V კვლევის შედეგები</b>	
5.1 მონაცემთა ანალიზი	25
5.2 კვლევის მიგნებები	28
5.3 კვლევის ნაკლოვანებები	28
<b>თავი VI ინტერვენციები</b>	
6.1 ქმედებების/ინტერვენციების დაგეგმვა და ანალიზი	29
დასკვნა	35
რეკომენდაცია	35

ბიბლიოგრაფია\_\_\_\_\_36

დანართები\_\_\_\_\_37

## საკვლევი საკითხის აქტუალობა

ვფიქრობ , სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის ითვალისწინებს სახელმწიფო ენის სწავლებას.მისი მიზანია, უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლება და ამით ხელი შეუწყოს სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას. ეს არის ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას და საკუთარი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.[1]

ამისათვის აუცილებელია მან შეიძინოს სხვადასხვა ტიპის სამეტყველო უნარ-ჩვევები (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი),რომლის დაუფლების შემდეგ შეძლებს წარმატებულ კომუნიკაციას. ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია გრამატიკის შესწავლით.

გადავწყვიტე , რომ ეს საკითხი მეტ შესწავლას საჭიროებს , რადგან იმეტყველო და წერო სწორად გრამატიკის გარეშე შეუძლებელია,სერიების და მწკრივების სწავლებისას წავაწყდი დიდ სირთულეს,განსაკუთრებით პირველი თურმეობითის სწავლებისას.მოსწავლეებს უჭირთ მწკრივების წარმოება შესაბამისი ფორმით, უჭირთ პირველი თურმეობითის სწორად გამოყენება ,ასევე პრობლემაა მოქმედების დროის გაგებასთან,მათთვის რთულად გასაგებია „თურმეს” მნიშვნელობაც.ხშირად ხდება წყვეტილისა და პირველი თურმეობითის გამოყენებისას შეცდომის დაშვება.სანამ საკვლევ პრობლემას ჩამოვაცალიბებდი პრობლემის აქტუალობის დასადგენად შევხვდი და გავესაუბრე როგორც ჩემი სკოლის ქართული ენის კათედრის მასწავლებლებს, ასევე სხვა სკოლის იგივე საგნის მასწავლებლებსაც. შეხვედრის შედეგად შევჯერდი ორ საკითხზე: რა შეიძლება იყოს აღნიშნული საკითხის გამომწვევი მიზეზი და რა იქნება გასაუმჯობესებელი.

[ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016](#)

[HTTP://NCP.GE/GE/CURRICULUM/SATESTO-SEQTSIA/MIMDINARE-ESG-2011-2016](http://NCP.GE/GE/CURRICULUM/SATESTO-SEQTSIA/MIMDINARE-ESG-2011-2016)



## თავი I

### 1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

პედაგოგიური კვლევა განვახორციელე სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმთანის #1 საჯარო სკოლაში . სკოლის დირექტორია არტემ ურუმიანი.სკოლა არის სომხურენოვანი. სკოლაში მოსწავლეთა კონტიგენტი 200-ზე მეტია, სკოლაში დასაქმებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებელი. მათ შორის 2 უფროსი მასწავლებელია და დანარჩენი პრაქტიკოსი, მასწავლებლები სისტემატიურად გადიან ტრენინგებს და იმაღლებენ პედაგოგიურ გამოცდილებას.მასწავლებლების დიდი ნაწილი აქტიურად ემზადება სასერტიფიკაციო გამოცდისათვის. ვფიქრობ, ახალი სასწავლო წლისთვის ჩვენი სკოლის ბევრი პედაგოგი შეძლებს სტატუსის ამაღლებას .

### 1.2 საკვლევი საკითხი.

კვლევა ჩავატარე სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმთანის #1 საჯარო სკოლის მე-8 კლასში. კლასში სწავლობს 22 მოსწავლე. კლასი არის საშუალო მოსწრების, მოტივირებული.

მე-8 კლასს უკვე მეოთხე წელია ვასწავლი და ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაზე დაკვირვებისას ვამჩნევდი, მიუხედავად იმისა , რომ ჩემს მოსწავლეებს აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა გრამატიკული ერთეულების კერძოდ სერიებისა და მწკრივების შესახებ ,ვერ ახერხებენ გრამატიკული კონსტრუქციების სწორად აგებას, ზმნის ფორმების წარმოებას. უღლებას , შესაბამის დროსა და პირში. გამოკვეთილი პრობლემის გამო გადავწყვიტე ჩამეტარებინა კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით. საკვლევ თემად შევარჩიე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში თემაზე:

„პირველი თურმეობითის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლა-სწავლების პროცესში (მე-8 კლასში) და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება“

საკვლევი საკითხის შერჩევა განაპირობა მისმა აქტუალობამ. ვფიქრობ, რომ დაეუფლო ენას, დაამყარო კომუნიკაცია აუცილებელია შეგეძლოს ზმნის წარმოება შესაბამისი ფორმით. გადავწყვიტე მეკვლია პირველი თურმეობითის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები ჩემს მოსწავლეებში, რომელიც ხელს უშლის მათ სწორად

მეტყველებას,სწორად წერას.ასევე გამოვიკვლიე პრობლემების გამომწვევი მიზეზები და იმ გზების ეფექტურობა, რომელიც კვლევის ფარგლებში შევარჩიე.

### 1.3 მოსალოდნელი შედეგები მოსწავლეთათვის, მასწავლებლისა და კოლეგისათვის.

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა დამეხმარება მოსწავლეებში გავაუმჯობესო სერიების და მწკრივების კერძოდ პირველი თურმეობითის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები, ხოლო ჩემ მიერ დაგეგმილი ინტერვენციები გაუადვილებს მათ პირველი თურმეობითის კონტექსტში გამოყენებას, შეძლებენ სწორად მეტყველებას .ასევე გამოადგებათ შემდგომში სხვა სერიების და მწკრივების შეწავლისას.

ვფიქრობ, რომ ჩემი კვლევა გამოადგება კოლეგებსაც. ისინი გაიზიარებენ ჩემ გამოცდილებას, იხელმძღვანელებენ ჩემი მიგნებებით მსგავსი პრობლემის არსებობის შემთხვევაში, თავადაც დაგეგმავენ და განახორციელებენ კვლევებს თავიანთ საგანში. შედეგად კი, ვიმედოვნებ, შევძლებთ საერთო ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებას სკოლაში.

კვლევისას მიღებული გამოცდილება დამეხმარება სხვა მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში,მარტივად მოვაგვარო მსგავსი პრობლემა.საჭიროების შემთხვევაში გავაგრძელო და კიდევ უფრო დავხვეწო კვლევა.

### 1.4 პრობლემის გამომწვევი საგარეულო მიზეზები:

პირველი თურმეობითის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულის,როგორც მეორე ენის სწავლა-სწავლების პროცესში მე-8 კლასში გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით:

- ❖ მოსწავლეების დაბალი მოტივაცია ისწავლონ ქართული ენა.
- ❖ მწირი კომუნიკაცია,საუბრობენ მხოლოდ მასწავლებელთან.
- ❖ მშობლების დაბალი ჩართულობა სასწავლო პროცესში.
- ❖ დროის არასწორი განაწილება,არ რჩებათ დრო დამატებითი მეცადინეობისათვის.
- ❖ ქართული ენის გრამატიკის სირთულე.
- ❖ არასწორად შერჩეული სახელმძღვანელო,მოსაწყენი თემებით.
- ❖ მათი ენის ფლობის დონის შეუსაბამო პროგრამა.
- ❖ დაბალი თვითშეფასება,ვერ შეძლებენ სწავლას.
- ❖ მოსწავლეები არ უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას,არ თანამშრომლობენ.
- ❖ არასწორი სწავლება,ცუდად წარმართული საგაკვეთილო პროცესი.

## 1.5 კვლევის მიზანი

საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე მიზნად დავისახე :

- ❖ მოვახდინო პირველი თურმეობითის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და დავსახო მათი გადაჭრის გზები.
- ❖ გავცნო გრამატიკის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებს , რათა მოვარგო ისინი მოსწავლეებისა და ჩემს საჭიროებებს.
- ❖ სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით დავეხმარო მოსწავლეებს პირველი თურმეობითის უკეთ წარმოებაში.
- ❖ კვლევის დასრულებისას მიღებული შედეგები გამოვიყენო ჩემი შემდგომი პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, ასევე მიღებული გამოცდილება გავუზიარო კოლეგებს.

## 1.6. კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნიდან გამომდინარე შევიმუშავე შემდეგი ამოცანები:

- ❖ კვლევის დასაწყისში პრეტესტის ჩატარება პირველი თურმეობითის წარმოებასთან დაკავშირებით, შემდგომში დაკვირვების მიზნით. (იხილეთ დანართი 1)
- ❖ კვლევის დასრულებისას სადიაგნოსტიკო ტესტირება პირველი თურმეობითის წარმოებასთან დაკავშირებით, შედეგების უკეთ წარმოჩენის მიზნით. (იხილეთ დანართი 10)
- ❖ ჩაღმავებული ინტერვიუ მასწავლებლებთან (იხილეთ დანართი 4)
- ❖ ფოკუსჯგუფის ჩატარება მოსწავლეებთან (იხილეთ დანართი 2)
- ❖ ფოკუსჯგუფის ჩატარება მშობლებთან (იხილეთ დანართი 3)
- ❖ პირველი თურმეობითის წარმოებასთან და კონტექსტში გამოყენებასთან დაკავშირებული სავარჯიშოები (იხილეთ დანართი 5,6,7,8,9)

## თავი II

### ლიტერატურის მიმოხილვა

მოვიძიე ლიტერატურა ,რომელიც დამეხმარა კვლის წარმართვაში.პირველ ეტაპზე გავეცანი თეორიებს , რას გულისხმობს მეორე ენის ათვისება,რა შინაგანი და გარე ფაქტორები ახლავს ენის შესწავლას , რით შეიძლება დავაინტერესოთ მოსწავლეები. შემდეგ გავეცანი საკვლევ თემის რაობას\_ სერიები და მწკრივები „პირველი თურმეობითის წარმოება“ . შემდეგ ეტაპზე გავეცანი გრამატიკის სწავლების მეთოდიკას ქართულის,როგორც მეორე ენის სწავლებისას ,კერძოდ სერიები და მწკრივები „,პირველი თურმეობითი“ .

### 2.1 მეორე ენის ათვისების თეორიები

*მეორე ენის ათვისება გულისხმობს ,როგორც ინდივიდების ან ჯგუფების მიერ ენის შესწავლას,ასევე ენის შესწავლის პროცესსაც.დამატებით ენას მეორე ენა ეწოდება. ძალიან ხშირად მას სამიზნე ენასაც უწოდებენ,რაც ნიშნავს ენას,რომლის შესწავლაცაა მიზნად დასახული. არსებობს მეორე ენის ბუნებრივი გზით შესწავლის შესაძლებლობა, რომელიც ბუნებრივ გარემოში ხდება და ფორმალური გზით შესწავლის შესაძლებლობა საკლასო გარემოში .არსებობს მეორე ენის ათვისების შერეული გზაც, რაც გულისხმობს ზემოთ დასახელებული გარემოებების ერთდროულად არსებობას.ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას ერთად.საკლასო გარემოდან ავთენტურ სიტუაციაში. ენის გამოყენების უნარი მოითხოვს კომპლექსურ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც ავტომატურად ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვინც პირველ ენას ბავშვობაში ითვისებს. თუმცა, შესაბამისი დონე იშვიათად მიიღწევა მეორე ენაში, თუნდაც შემსწავლელი ბევრ დროსა და ძალისხმევას ხარჯავდეს შესწავლისათვის. ყურადღება მახვილდება როგორც გარეგან, ისე შინაგან ფაქტორებზე. საჭიროა მოსწავლემ დაინახოს მეორე ენის შესწავლის საჭიროება,რადგან არსებობს მეორე ენა, რომელიც შემსწავლელის უშუალო სოციალურ კონტექსტში ფართოდ არ გამოიყენება, თუმცა, შეიძლება გამოყენებული იყოს მოგზაურობისას ან სხვა კროსკულტურულ საკომუნიკაციო სიტუაციებში. [3]*

აღნიშნული თეორიებიდან გამომდინარე ვფიქრობ,ქართულის,როგორც მეორე ენის სწავლებისას აუცილებელი ფაქტორია მოსწავლემ დაინახოს ქართული ენის შესწავლის საჭიროება.მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამა მორგებული იყოს მოსწავლის შესაძლებლობებზე,რათა არ მოხდეს მათი დემოტივაცია.სასწავლო პროცესი იყოს სახლისო და საინტერესო.ასეთ შემთხვევაში ენის სწავლებისას გამოწვეული ნებისმიერი

სირთულე მარტივად იქნება დაძლეული. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმა.

ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო მიზანია მოსწავლის აღჭურვა საბაზისო ცოდნით, რომელიც მას ხელს შეუწყობს, გზა გაიკვალოს თანამედროვე ცხოვრებაში. მთავარი ამოცანაა მოსწავლის მომზადება ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორცაა გეზის არჩევა (აქტიურ ცხოვრებაში ჩაბმა, პროფესიული განათლების მიღება, სკოლაში სწავლის გაგრძელება). რა სფეროც არ უნდა აირჩიოს მან პროფესიული საქმიანობისათვის, ქართული ენა დასჭირდება როგორც ინსტრუმენტი ცოდნისა და გამოცდილების გასამდიდრებლად. მთავარი ამოცანაა მოსწავლის მომზადება ამა თუ იმ სფეროში სწავლის ან მუშაობის გასაგრძელებლად. ამდენად, მნიშვნელოვანია, არაქართულენოვან მოსწავლეთა ენის ფლობის დონე მიუახლოვდეს მშობლიური ენის ფლობის დონეს, რათა მათ დაუბრკოლებლად შეძლონ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ჩართვა. შიდა სტრუქტურის მიზანია, გამოკვეთოს ის უნარები, რომელთა განვითარება საერთო მიზანს წარმოადგენს ყველა ენის სწავლა-სწავლებისათვის, იქნება ეს ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული, როგორც მეორე ენა, გერმანული, ფრანგული, რუსული თუ ინგლისური ენები. სასურველია, ენების სწავლებისას დაიძლიოს საგნობრივი კარჩაკეტილობა და დაინერგოს ენების ინტეგრირებული პედაგოგიკა. მართლაც, ნებისმიერი (მშობლიური, არამშობლიური) ენის შესწავლისას მოსწავლე მსგავსი ამოცანების წინაშე დგება. მაგალითად, მან უნდა დაადგინოს, თუ რა სტრუქტურისაა ტექსტი, რა შინაარსის შემცველია, რა ენობრივი მახასიათებლები აქვს მას, რა ტიპის შიდა სტრუქტურის მიზანია, გამოკვეთოს ის უნარები, რომელთა განვითარება საერთო მიზანს წარმოადგენს ყველა ენის სწავლა-სწავლებისათვის, იქნება ეს ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული, როგორც მეორე ენა, გერმანული, ფრანგული, რუსული თუ ინგლისური ენები. სასურველია, ენების სწავლებისას დაიძლიოს საგნობრივი კარჩაკეტილობა და დაინერგოს ენების ინტეგრირებული პედაგოგიკა. მართლაც, ნებისმიერი (მშობლიური, არამშობლიური) ენის შესწავლისას მოსწავლე მსგავსი ამოცანების წინაშე დგება. მაგალითად, მან უნდა დაადგინოს, თუ რა სტრუქტურისაა ტექსტი, რა შინაარსის შემცველია, რა ენობრივი მახასიათებლები აქვს მას, რა ტიპის სტრატეგიები უნდა გამოიყენოს მის გასააზრებლად და სხვა. მეტიც, ასეთივე ენობრივ-კომუნიკაციური ამოცანების წინაშე დგას მოსწავლე ნებისმიერ არაენობრივ საგანშიც (იქნება ეს ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა თუ სხვა), როცა უწევს ტექსტების გააზრება, შედგენა თუ აუდიტორიის წინაშე ზეპირი გამოსვლა. ასე რომ, ენობრივ-კომუნიკაციური უნარები გამჭოლი ხასიათისაა – ამ უნარების დაუფლება მოსწავლეს ნებისმიერი საგნის

ათვისების პროცესში სჭირდება. ინტეგრირებული დიდაქტიკა გულისხმობს ენების სწავლისას მიღებული გამოცდილების ურთიერთდაკავშირებას, მოსწავლის მიერ შეძენილი გამოცდილების გადატანის ხელშეწყობას ერთი ენიდან მეორეში. ასეთი მიდგომა განამტკიცებს უნარებს, ამდიდრებს გამოცდილებას და ზრდის მოსწავლეთა ქმედობაუნარიანობას. ამის განსახორციელებლად, მასწავლებელმა უნდა იფიქროს შესწავლილ თუ შესასწავლ ენებს შორის ხიდების გაბმაზე. მაგალითად, ქართული, როგორც მეორე ენის სტანდარტში მოცემულია სტრატეგია \_ მოსწავლე მთლიანობაში ეცნობა ტექსტს ინფორმაციების მოძიების მიზნით, ამ ეტაპზე არ ჩერდება უცნობ სიტყვებზე, განსხვავებული სიმბოლოებით აღნიშნავს ტექსტში არსებით საკითხებს, რომლებსაც უნდა მიუბრუნდეს მათი გაღრმავების მიზნით, საკვანძო სიტყვებს და სხვა. იგი იმ უნართა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც შეიძლება მან ეფექტურად ეინგლისური, რუსული თუ სხვა), თუ არაენობრივი საგნები (ისტორია, ფიზიკა, გეოგრაფია და სხვა). ხიდების გასაბმელად მასწავლებელმა უნდა გააცნობიერებინოს მოსწავლეს, რომ კონკრეტული უნარის გადატანა შეიძლება განსხვავებულ საგნებში და განსხვავებულ კონტექსტებში.[1]

#### ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016

[HTTP://NCP.GE/GE/CURRICULUM/SATESTO-SEQTSIA/MIMDINARE-ESG-2011-2016](http://NCP.GE/GE/CURRICULUM/SATESTO-SEQTSIA/MIMDINARE-ESG-2011-2016)

#### მურიელ სავილიე-ტროიკე „შესავალი მეორე ენის ათვისებაში“

[HTTP://CCIIR.GE/UPLOAD/EDITOR/FILE/INTRODUCING%20SECOND%20LANGUAGE%20ACQUISITION.PDF](http://CCIIR.GE/UPLOAD/EDITOR/FILE/INTRODUCING%20SECOND%20LANGUAGE%20ACQUISITION.PDF)

## 2.2 სერიებისა და მწკრივების რაობა /პირველი თურმეობითი

თანამედროვე სამყარო უამრავ სიახლეს გვთავაზობს, არსებული მიგნებები იძლევა საშუალებას, შედარებით უფრო სისტემური გზა შევიმუშაოთ ენის სწავლების სფეროში, რაც უფრო ეფექტურს გახდის შემსწავლელის მიერ ენის ათვისების პროცესს. კაცობრიობის განვითარებასა და წინსვლასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება ავტომატური თარგმანიც კომპიუტერის მეშვეობით, შესაბამისად ამ მიმართულებით ზმნის მოდელირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ქართულ ენაში ზმნა ერთ–ერთი რთული მეტყველების ნაწილია, მას გადატანითი მნიშვნელობით ენის ხერხემალსაც უწოდებენ. ზმნის სირთულეს უპირველესად ზმნურ კატეგორიათა სიმრავლე განაპირობებს, ქართულ ენათმეცნიერებაში მრავალი მნიშვნელოვანი

ნაშრომია შექმნილი, რომლებშიც ბევრი საკითხი სხვადასხვაგვარადაა მოწოდებული და გადაწყვეტილი. კვლევა ზმნისა და მისი კატეგორიების ირგვლივ დღესაც აქტიურად მიმდინარეობს.

*„ზმნა ყოველი ენისათვის სულია მაცოცხლებელი და ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ყოველს გრამმატიკოსს დიდად უჭირს იმისი ხელში მოგდება. მათი უმთავრესი და დაუცხრომელი მეცადინეობა ის არის, რომ, რადგან სულს ხელი არ მოეკიდება, საბუდარი მაინც მიაგნონ როგორმე ზმნისა და ისე მიიმწყვდიონ, რომ იმისი ბუნებისა და ხასიათის გულდასმით გამოკვლევა შეძლებოდეს.“ (ქართ. გრამატიკა 1882წ).*

მნიშვნელობასთან მიმართების თვალსაზრისით ზმნის კატეგორიები შეიძლება ორ ჯგუფად დალაგდეს: უღლების და წარმოქმნის კატეგორიებად. უღვლილება ფართო მნიშვნელობით ზმნის ფორმათა ცვლაა საუღლებელ ერთეულთა (მწკრივთა) მიხედვით.

*"ზმნის ფორმა-ცვლება მწკრივებში პირისა და რიცხვის მიხედვით შეადგენს ზმნის მიმოხრის შინაარსს ანუ უღლების სისტემას, ხოლო უღლება ჩვეულებრივ მიმდინარეობს ამა თუ იმ გეზის, ორიენტაციის, ასპექტის, გვარის, ქცევის და კონტაქტის მიხედვით, რომლებიც წარმოქმნის კატეგორიება“ (შანიძე 1973: 163).*

*„მწკრივის შიგნით იცვლება პირი და რიცხვი, ზოგ ენაში სქესიც ან კლასიც; უცვლელია: დრო, კილო, ჯერობა, აქტი, თანამიმდევრობა. მწკრივები ერთმანეთს სწორედ უცვალელებელი ნაწილების მიხედვით განსხვავდებიან, დრო უმეტესად ყველაშია, მაგრამ სხვადასხვა სახისაა: ახლანდელი, წარსული და მომავალი, კილოც ყველაშია, მაგრამ ესეც სხვადასხვა სახისაა, ჯერობა, აქტი და თანამიმდევრობა ზოგ მწკრივში მოიპოვება, ზოგში კი არა...“ (შანიძე 1953: 220).*

ქართული ზმნა მდიდარია პირიანი ფორმებით. ფორმათა მთელი მარაგი იყოფა ჯგუფებად, რომლებიც გარკვეული ნიშნების მიხედვით აერთიანებენ შიგ შემავალ ფორმებს. ზმნის პირიან ფორმათა ისეთ ჯგუფს, რომელიც ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს აერთიანებს, მწკრივი ჰქვია. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში 11 მწკრივია. სხვა მწკრივის ფორმებთან შეპირისპირებისას მათ აერთიანებს: დრო, კილო, აქტი, ზოგჯერ გზისობა. მწკრივის ფორმებში ასახულია შემდეგი შინაარსი: დრო (წარსული, ახლანდელი მომავალი), ასპექტი (ან დასრულებულია ან დაუსრული მოქმედების გამოხატვა), კილო (თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი), გზისობა (ერთხელ თუ მრავალჯერ მომხდარი მოქმედება) აქტი (ნაწახი თუ უნახავი მოქმედება), თანამდევრობა (უწინარესი მოქმედება თუ შემდგომი მოქმედება). მწკრივებს სახელები მათი შინაარსის მიხედვით აქვთ

დარქმეული. მაგ.: ვცხოვრობ და ვცხოვრობდი - ორივე თხრობითი კილოა, მაგრამ დრო განსხვავდება.

როგორც ზემოთ ავღნიშნე ახალ ქართული სალიტერატურო ენაში 11 მწკრივს გამოყოფენ (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა...). მწკრივთა დაჯგუფება ხდება საუღლებელი ფუძის პრინციპზე დამყარებით. საუღლებელი ფუძის პრინციპი ქართულ გრამატიკაში ნ. მარმა დაამკვიდრა. შესაბამისად 11 მწკრივი სამ სერიაში განაწილდა (ა. შანიძის ვარიანტი): ფორმათა 11 მწკრივი იყოფა ჯგუფებად, რომელთაც სერიებს ეძახიან. გვაქვს 3 სერია : პირველი, მეორე და მესამე. პირველ სერიაში 6 მწკრივია, მეორეში - 2, მესამეში - 3.

#### I სერია

1. აწმყო (ვ-წერ...)
2. უწყვეტელი (ვ-წერ-დ-ი...)
3. აწმყოს კავშირებითი (ვ-აწერ-დ-ე...)
4. მოფადი (და-ვ-წერ...)
5. ხოლმეობითი (და-ვ-წერ-დ-ი...)
6. მოფადის კავშირებითი (და-ვ-წერ-დ-ე...)

#### II სერია

წყვეტილი (და-ვ-წერ-ე...)

II კავშირებითი (და-ვ-წერ-ო...)

#### III სერია

I თურმეობითი (და-მ-ი-წერ-ი-ა...)

II თურმეობითი (და-მ-ე-წერ-ა...)

III კავშირებითი (და-მ-ე-წერ-ო-ს...)

ჩემს საკვლევ თემას წარმოადგენს პირველი თურმეობითი . პირველი თურმეობითის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულის როგორც მეორე ენის სწავლა-სწავლების პროცესში.



## **I თურმეობითი**

პირველი თურმეობითი: მასში სამი ელემენტი: დრო, კილო და აქტი. დრო წარსულია, კილო თხრობითი, აქტი უნახავი. (მიწერია, მიშენებია) უნახავი აქტის ფორმა გვიჩვენებს მოქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია შედეგის მიხედვით ან სხვისგან არის გაგონილი. წასულა-ჩანს, რომ წასულა. სახლი აუშენებია შედეგს ვხედავთ წარსულში გაწეული მუშაობისას, აშენებული სახლის სახით. ასეთი შედეგის თვალსაზრისით არის დაფასებული მოქმედებაც, რომელიც წარსულში უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა. ეს ისეთი მოქმედებაა, რომელიც დადებით შემთხვევაში წყვეტილით არის გადმოცემული, მაგრამ უბრალო უარყოფის შემთხვევაში მას პირველი თურმეობითი უნდა შეენაცვლოს. მაგ: წავიდა-არ წასულა, მოიტანა-არ მოუტანია, გააკეთა-არ გაუკეთებია.

რა მიქნია? მისწავლია, დამიწერია. I თურმეობითის ნიშანია ი.ამ მწკრივის ფორმა ენაცვლება წყვეტილს უბრალო უარყოფის შემთხვევაში : გააკეთე? - არ გამიკეთებია.თუ წყვეტილის ფორმას გამოვიყენებთ, მაშინ აზრი იკარგება: არ გააკეთე, არ დავწერე. I თურმეობითის ზოგჯერ უნახავი აქტის გაგება არ აქვს.

ზემოთ განხილული თემა არ აღმოჩნდა მარტივად დასაძლევად. მოსწავლეები პირველი თურმეობითის კონტექსტში იყენებენ არასწორად, ხშირად აიგივებენ წყვეტილთან და პირველი თურმეობითის ნაცვლად იყენებენ წყვეტილის ფორმით.

## **2.3 გრამატიკის სწავლების მეთოდიკა ქართულის როგორც მეორე ენის სწავლებაში**

საქართველოს მოსახლეობა ეთნიკურად მრავალფეროვანია, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის ქართული ენა, ამიტომ მეორე ენის მოთოდოლოგიურ პრობლემებს დღესდღეობით დიდი ყურადღება ექცევა. იმისათვის, რომ თავი ქვეყნის სრულყოფილ მოქალაქედ იგრძნო აუცილებელი ფლობდე სახელწიფო ენას, უნდა შეგეძლოს ამ ენაზე საუბარი, კითხვა და წერა. რომელიც გრამატიკის შესწავლის გარეშე შეუძლებელია.

გავეცანი მაია ინასარიძის სტატიას „გრამატიკის სწავლების მეთოდიკა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებაში“

*ქართული ენის შესწავლა მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომლისთვისაც სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის, გულისხმობს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების – მოსმენის, ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის – ინტეგრირებულ განვითარებას. რამდენადაც მეორე ენის სწავლების მთავარი მიზანი გაგება, შინაარსის გადმოცემა და აზრის გამოთქმაა, მეორე ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის ცოდნა თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ სწორედ სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარებას უნდა ემსახურებოდეს. ეს როდი ნიშნავს, რომ მეორე ენის სწავლებაში უგულვებელყოფილია ლინგვისტური კომპეტენცია; სხვა კომპეტენციებთან ერთად უთუოდ იგულისხმება ისიც და მეორე ენის სწავლებისას მშობლიური ენის სწავლებისგან განსხვავებული მიზნები აქვს.[3]*

ჩვენთვის ქართულის როგორც მეორე ენის მასწავლებლებშითვის აქტუალურია შემდეგი საკითხები კერძოდ:

უნდა ვასწავლოთ თუ არა ქართული ენის გრამატიკა არაქართულენოვან მოსწავლეებს და თუ ვასწავლოთ, როგორ?

შეიძლება თუ არა ქართული ენის გრამატიკის სწავლება გრამატიკის წესების გარეშე?

როგორ ვასწავლოთ გრამატიკა ისე, რომ მივიღოთ პრაქტიკული შედეგები და მოსწავლეებს განუვითარდეთ კომუნიკაციური უნარ-ჩვევები?

რა მეთოდები არსებობს გრამატიკული მოვლენებისა და კატეგორიების გასაგებად და კომუნიკაციის დროს მათ გამოსაყენებლად?

ვფიქრობ დაუშვებელია გრამატიკის სწავლება ზმნის (პირველი თურმეობითი) წესებისა და ზმნის ფორმები დაზეპირებით. არნიშნულ საკითხზე მაია ინასარიძე საინტერესო მოსაზრებები აქვს:

*გრამატიკის სწავლებისადმი კომუნიკაციური მიდგომის შესახებ არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი. ზოგი ავტორი უპირატესობას ანიჭებს გრამატიკის ზედმიწევნით ცოდნას, კარგ სტრუქტურულ ბაზას, რომელზეც შეიძლება კომუნიკაციური უნარ-ჩვევების დაფუძნება. მეორენი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სწრაფმეტყველებას და მიაჩნიათ, რომ გრამატიკული კომპეტენცია ყალიბდება თავისთავად, კომუნიკაციის პროცესში, გრამატიკის ცოდნის მიუხედავად. ამ ორი რადიკალურად განსხვავებული მოსაზრების გარდა არსებობს მიდგომები, რომლებიც ოქროს შუალედის გამონახვას ცდილობს. მათ მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ექსპლიციტური გრამატიკული წესები და ტერმინოლოგია არ უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით უნდა გაიზარდოს სავარჯიშოთა კომუნიკაციური დატვირთვა ანუ გრამატიკული მოდელების სწავლებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მათ სამეტყველო ფუნქციებსა და მათი*

გამოყენების ტიპობრივ სიტუაციაზე. ასე რომ, სწავლების კომუნიკაციური მეთოდი გულისხმობს ძირითადად კომუნიკაციურ სავარჯიშოთა სისტემის გამოყენებას,

რომლებიც თავისთავად გრამატიკულ კანონზომიერებებს ეყრდნობა. კომუნიკაციური მეთოდისთვის მნიშვნელოვანია კომბინირებული სავარჯიშოები, რომელთაც გრამატიკულ მიმართულებასთან ერთად კომუნიკაციური ხასიათი აქვთ და პირიქით.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა მიერ იმის გაცნობიერებას, რომ გრამატიკული ფორმები აუცილებელია კომუნიკაციური ამოცანის გადასაჭრელად და რომ მათი გააზრებით ადვილია ამ ფორმების გადატანა და გამოყენება ახალ კონტექსტში.

კომუნიკაციური მიდგომა გრამატიკის სწავლებისას აღიარებს სწავლების კომუნიკაციურ მეთოდს, რომელიც ემყარება არა უბრალოდ წინადადების, არამედ გამონათქვამის დონეზე მუშაობის აუცილებლობას. სწავლების საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია საურთიერთობო მეტყველების ელემენტარული ჩვევების ფლობა. წინ წამოიწევეს მარტივი წინადადებებისა და ფრაზების გამოყენება, მარტივი შეკითხვის დასმა და პასუხის გაცემა, ურთიერთობის დამყარება მარტივ, ტიპურ სიტუაციებში (მისალმება, დამშვიდობება, გაცნობა).

ქ.მ.VIII.20.

მოსწავლეს შეუძლია ფუნქციურად გამოიყენოს საბაზო ენობრივი უნარ-ჩვევები.

მასალა, რომელიც კომუნიკაციური მიდგომისას შეირჩევა, უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს სიტუაციის მიხედვით კონკრეტული ენობრივი ფორმების გამოყენებაში, სწორი მეტყველების დაუფლებასა და მართებული წერის ჩვევების გამომუშავებაში. მასალის შერჩევისას გათვალისწინებულია კომუნიკაციური სწავლების რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი. კერძოდ:

ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს არა გრამატიკული წესების, ტერმინების ცოდნაზე, არამედ კონკრეტული ენობრივი მასალის კონკრეტულ კომუნიკაციურ, სამეტყველო სიტუაციაში გამოყენებაზე.

ენობრივი და სამეტყველო მასალა – კლიშეები, მოდელები, სქემები, ცხრილები, წინადადებები, მინიტექსტები, დიალოგები – ორგანიზებული უნდა იყოს თემატურად და სამეტყველო ფუნქციების მიხედვით.

ტექსტებსა და სავარჯიშოებში სტიმულირებული უნდა იყოს რეალური საკომუნიკაციო სიტუაცია, რომელიც ახლოსაა მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან.

სწავლებისა და სწავლისას აქცენტირება უნდა ხდებოდეს არა სიტყვების დამახსოვრებაზე, არამედ წინადადებებზე, გამონათქვამებსა და ტექსტებზე.

კომუნიკაციურობის მიღწევა მხოლოდ ინტერაქტიული სწავლების პირობებშია შესაძლებელი, ამიტომ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ ურთიერთობის სხვადასხვა ფორმის (წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის) გამოყენების შესაძლებლობა.

გასათვალისწინებელია ის პრინციპებიც, რომლებსაც, საზოგადოდ, მეორე ენის სწავლებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კერძოდ, ეს არის:

კომუნიკაციურობის პრინციპი. მოსწავლეებს უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ ისინი იქცნენ კომუნიკაციური აქტის ძირითად მონაწილეებად, მასწავლებელმა კი გზამკვლევის, დამხმარისა და დამკვირვებლის ფუნქცია იკისროს.

განმეორებადობის პრინციპი. განმეორება რომ ცოდნის დედაა, უპირველესად ენის სწავლებისას მტკიცდება. ხშირი განმეორება, თანაც სხვადასხვა კონტექსტსა და სიტუაციაში, მარტო მექანიკურ კი არა, გააზრებულ დამახსოვრებას უწყობს ხელს. მისი სიხშირე და ხანგრძლივობა მასალის სირთულეზეა დამოკიდებული.

მისაწვდომობის პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობს იმას, რომ მასალა არც მეტისმეტად რთული უნდა იყოს და არც მეტისმეტად მარტივი, რადგან ორივე შემთხვევაში მოტივაცია ეცემა. მიცემული დავალებები გასაგები უნდა იყოს და მოსწავლეს მათი დაძლევა შეეძლოს.

გააზრებულობის / შეგნებულობის პრინციპი. გააზრების გარეშე ცოდნის შეძენა და უნარ-ჩვევების განვითარება არ ხდება. მოსწავლემ შეგნებულად უნდა გაიგოს გრამატიკული მასალა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს იგი მის გამოყენებას წერითსა და ზეპირ მეტყველებაში.

აქტიურობის პრინციპი. მასწავლებელი ყოველთვის უნდა ფიქრობდეს, როგორ დაგეგმოს გაკვეთილი იმგვარად, რომ გაააქტიუროს მოსწავლე, უზრუნველყოს მისი აზროვნების, ნებისყოფისა და ყურადღების კონცენტრაცია. ეს პრინციპი ამგვარად შეიძლება ჩამოვყალიბოთ: ნურასდროს გააკეთებთ იმას თქვენ, რის გაკეთებაც მოსწავლეს შეუძლია.

თვალსაჩინოების პრინციპი. მასალის აღქმასა და გააზრებას აადვილებს ვიზუალური მასალა, კერძოდ, სქემები, ტაბულები, დიაგრამები, ცხრილები და ა.შ., რადგან ისინი ეხმარება მოსწავლეებს გრამატიკული საკითხების კონკრეტიზაციასა და უკეთ დამახსოვრებაში.

გრამატიკის სწავლების საბოლოო მიზანი ზეპირი და წერილობითი ტექსტების შექმნა უნდა იყოს.

სავარჯიშოები :

მოცემული ფორმებიდან მოსწავლემ უნდა შეარჩიოს შესაბამისი და გამოტოვებულ ადგილას ჩასვას.

ჩასასმელი მასალა მოცემულია საწყისი ფორმით და მოსწავლემ ის შესაბამისი ფორმით უნდა ჩასვას წინადადებაში.

არეული თანამიმდევრობით და საწყის ფორმაში მოცემული სიტყვებისგან წინადადეგების შედგენა.

ორი ან სამი სვეტიდან მოსწავლემ უნდა იპოვოს შესაბამისი ნაწილები და ისრით ერთმანეთთან დააკავშიროს.

სიტყვების მოცემული გროვიდან ფორმების კლასიფიკაცია-კატეგორიზაცია.

შეკითხვებისა და არეულად მოცემული პასუხების დაკავშირება

მოცემული ფორმების გამოყენებით წინადადეგების შედგენა.

პასუხების მიხედვით შეკითხვების დასმა.

კითხვებზე პასუხის გაცემა.

აღწერითი ტიპის სავარჯიშოები (მოცემული მონაცემების მიხედვით მოსწავლემ უნდა შეადგინოს ტექსტი კონკრეტულ პიროვნებებზე).

ე. წ. ტრანსფორმაციული სავარჯიშოები. მაგალითად, წინადადეგების შეცვლა იმდაგვარად, რომ მოსწავლე "იძულებული გახდეს" გამოიყენოს გარკვეული გრამატიკული ფორმა (პირველი პირის ფორმიანი წინადადეგების გადაყვანა მესამე

ყველა ეს სავარჯიშო საბოლოოდ ტექსტის შექმნისკენაა მიმართული. საწყის ეტაპზე ტექსტები მოცემული უნდა იყოს ნაკლებად და მოსწავლემ უნდა შეავსოს. მომდევნო საფეხურზე ტექსტი იქმნება მოდელის მიხედვით, ანუ მოსწავლეს მოეთხოვება მოცემული ტექსტის მცირეოდენი სახეცვლილება. უკანასკნელ ეტაპზე მოსწავლე გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენებით დამოუკიდებლად ქმნის ტექსტს.

იმისთვის, რომ გრამატიკის გაკვეთილები უფრო სახალისო და საინტერესო გახდეს, ჩვენ მასწავლებლები :

არ უნდა დავეჯერდეთ მარტო სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშოებს და შეეცადოს, თავად შეიტანოს საჭირო დამატებითი მასალა;

გრამატიკულ მასალაზე ვიმუშაოთ დიფერენცირებულად, ჩამოსაყალიბებელი სამეტყველო უნარ-ჩვევების მიხედვით;

გავზარდოთ სავარჯიშოთა კომუნიკაციური დატვირთვა, ყურადღება გავამახვილოთ სამეტყველო ფუნქციებსა და მათი გამოყენების ტიპურ სიტუაციებზე;

უფრო ინტენსიურად გამოვიყენოთ სწავლების ინდუქციური მეთოდი, როცა მოსწავლეები თავად აღმოაჩენენ გრამატიკულ კანონზომიერებას;

გამოვიყენოთ მშობლიური ენის გრამატიკა მეორე ენის გრამატიკული საკითხების გასააზრებლად შედარების გზით, დაადგინოს მსგავსება-განსხვავებები მშობლიურისა და მეორე ენის გრამატიკაში; [2]

მაია ინასარიძის მოსაზრებები და რეკომენდაციები მნიშვნელოვანია ქართულის, როგორც მეორე ენის გრამატიკის სწავლებისთვის. აღნიშნული ლიტერატურა დამეხმარება საკვლევი საკითხის უკეთ გააზრებაში. სტატიაში განხილული სავარჯიშოები (რომელთა ნაწილი ჩემთვის ნაცნობია და ვიყენებ სწავლის პროცესში) დამეხმარება დავძლიოთ პრობლემა, გავაუმჯობესოთ პირველი თურმეობითის წარმოება და გამოყენება მოსწავლეებში.

[მაია ინასარიძე „მეთოდოლოგიური მითითებები ქართულის როგორც მეორე ენის მასწავლებელთათვის“](http://MASTSAVLEBELI.GE/?P=3707)

[HTTP://MASTSAVLEBELI.GE/?P=3707](http://MASTSAVLEBELI.GE/?P=3707)

### **თავი III ძირითადი საკვლევი კითხვები/ქვეკითხვები**

მთავარი კითხვა, რომელიც კვლევაზე მუშაობისას ჩამოვყალიბე:

რა პრობლემები არსებობს პირველი თურმეობითის წარმოებასთან დაკავშირებით ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლა-სწავლების პროცესში?

ქვეკითხვები აღნიშნული პრობლემის დასაძლევად:

- ხედავენ თუ არა მოსწავლეები ქართული ენის სწავლების საჭიროებას?
- როგორი დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებს სწავლისადმი ?
- რამდენად საინტერესოა მათთვის სასწავლო პროგრამა?
- შეესაბამება თუ არა გრამატიკული მასალა მათ ასაკობრივ შესაძლებლობებს?
- რამდენად აქტიურად არიან მშობლები ჩართული შვილის სასწავლო პროცესში?
- რამდენად ეფექტურ ატივობებს სთავაზობს მასწავლებელი აღნიშნული პრობლემის დასაძლევად?

## თავი V კვლევის დიზაინი

### 4.1 სამიზნე ჯგუფი

ჩემი სამიზნე ჯგუფი არის სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის #1 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეები. სკოლა არის სომხურენოვანი, მათი მშობლიური ენა სომხურია. ქართულ ენას სწავლობენ პირველი კლასიდან და იყენებენ მხოლოდ ქართული ენის გაკვეთილზე, ასევე ქართული ენის მასწავლებელთან საუბრისას არაფორმალურ გარემოში.

### 4.2 კვლევის მეთოდები

კვლევის პროცესში მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან მუშაობისას გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები.

მეთოდები:

- ❖ ფოკუს ჯგუფი - გამოვიყენე მოსწავლეებთან და მშობლებთან, რომელიც დამეხმარა პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენაში
- ❖ პრეტესტი - გამოვიყენე კვლევის დასაწყისში მოსწავლეებთან. პრეტესტმა ნათლად მიჩვენა არსებული პრობლემა პირველი თურმეობითის წარმოებასთან დაკავშირებით.

- ❖ ჩადმავებული ინტერვიუ \_კოლეგებთან ჩემ მიერ შემუშავებული კითხვები დამეხმარა წარმომეჩინა მათი დამოკიდებულება და ხედვა არსებული პრობლემისადმი , დამენახა პრობლემის გამომწვევი ფაქტორები.

### 4.3 კვლევის გეგმა, ვადები.

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
საკვლევი თემის შერჩევა	✓					
ლიტერატურის მოძიება და დამუშავება	✓					
პრეტესტის კითხვების შედგენა		✓				
პრეტესტის კითხვების შედგენა		✓				
პრეტესტი მოსწავლეებთან		✓				
პრეტესტის ანალიზი		✓				
ფოკუსჯგუფისთვის კითხვების შედგენა			✓			
ფოკუსჯგუფი მშობლებთან			✓			
ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან			✓			
ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზი			✓			



ჩადმავებული ინტერვიუსთვის კითხვების შედგენა				✓		
ჩადმავებული ინტერვიუ მასწავლებლებთან				✓		
ინტერვიუს შედეგების ანალიზი				✓		
სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა				✓		
ინტერვენციების განხორციელება				✓	✓	
შედეგების ანალიზი					✓	
კვლევის პრეზენტაცია						✓

## თავი V კვლევს შედეგები

### 5.1 მონაცემთა ანალიზი

კვლევის პროცესში გამოვიყენე როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდი. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით კვლევის პროცესი წარმატებით წარიმართა, კვლევის შედეგები თვალსაჩინოა.


 კვლევის საწყის ეტაპზე ჩატარებული დიაგნოსტიკური პრეტესტის შედეგები:

**პირველი თურმეობითის წარმოება-გამოყენების ტესტი (8 დავალება)**

პირველი თურმეობითის წარმოება-გამოყენების ტესტმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეების 59%-მა შეასრულა ტესტის 2 დავალება, მოსწავლეების 23%-მა 3 დავალება, მოსწავლეების 10 %-მა შეასრულა 4 დავალება, ხოლო 8%-მა ვერცერთ დავალებას ვერ გაართვა თავი. პრეტესტის დახმარებით თვალსაჩინოდ მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება.

**პრეტესტის შედეგები**  
(მოსწავლეთა რაოდენობა გამოსახულია პროცენტულად)

■ 2 დავალება   ■ 3 დავალება   ■ 4 დავალება   ■ 0 დავალება



**✚ მოსწავლეებთან ფოკუსჯგუფის ანალიზი**

პრეტესტის შედეგების გაცნობის შემდეგ, გადაწყვიტე ფოკუსჯგუფი ჩამეტარებინა მოსწავლეებთან.

ფოკუსჯგუფში მონაწილეობდა შაუმიანის #1 საჯარო სკოლის მერვე კლასის 10 მოსწავლე. ფოკუსჯგუფთან მუშაობისას გამოვლინდა პრობლემის გამომწვევი მიზეზები. მათი სურვილია ისწავლონ ქართული ენა, მაგრამ მოსწავლეების დიდმა ნაწილმა ისაუბრა სასწავლო მასალის სირთულეზე, პრველი თურმეობითის წარმოება და ზოგადად გრამატიკული მასალა მათთვის რთულია. მოსწავლეების გარკვეული ნაწილი ვერ ხედავს გრამატიკის სწავლების საჭიროებას. კლასის გარეთ ვერ ახერხებენ კომუნიკაციას ქართულ ენაზე, ოჯახის წევრები არ ფლობენ ქართულ ენას და საჭიროების შემთხვევაში ვერ ეხმარებიან მათ, ამიტომ არ უყვართ საშინაო დავალების შესრულება. როგორც აღნიშნეს

ძალიან მოსწონთ მხიარული, მრავალფეროვანი აქტივობები. მოსწავლის წიგნი და რვეული მათთვის ნაკლებად საინტერესოა.

მათთან გასაუბრება ჩემთვის იყო საინტერესო, გამოიკვეთა პრობლემის გამომწვევი მიზეზები. მათი ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე დავგეგმე ინტერვენციები.

#### მშობლებთან ფოკუსჯგუფის ანალიზი

მოსწავლეებთან პრეტესტისა და ფოკუსჯგუფის შემდეგ გადავწყვიტე, მათ მშობლებთან ჩამეტარებინა ფოკუსჯგუფი. პროცესი საინტერესოდ წარიმართა, თუმცა იყო ენობრივი ბარიერი, ისინი ცუდად ფლობენ ქართულ ენას. მშობლების უმრავლესობა მოხარულია მათმა შვილმა ისწავლოს ქართული ენა, ხედავენ ენის სწავლის საჭიროებას, აღნიშნეს რომ მათ შვილებს ძალიან მოსწონთ ქართული ენის გაკვეთილი, მაგრამ თავად ვერ ფლობენ ქართულ ენას და საჭიროების შემთხვევაში ვერ ეხმარებიან მათ დავალების შესრულებაში. ასევე ისაუბრეს კომუნიკაციის სიმწირეზე, მათი შვილები კომუნიკაციას მხოლოდ ქართული ენის გაკვეთილზე ამყარებენ.

მშობლებთან გასაუბრებამ ნათლად მიჩვენა არსებული პრობლემები. მივიღე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომ მშობლები ხედავენ ქართული ენის სწავლების საჭიროებას, მაგრამ აქტიურად არ ერთვებიან შვილის სასწავლო პროცესში.

#### კოლეგებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი

პრეტესტის, მოსწავლეებთან და მშობლებთან ფოკუსჯგუფის ჩატარების შემდეგ გადავწყვიტე კოლეგებს გავსაუბრებოდი, რათა გამეზიარებინა მათი გამოცდილება არსებული პრობლემის შესახებ. ინტერვიუ ჩავწერე ოთხ კოლეგასთან. კოლეგებმა ისაუბრეს გულახდილად, აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეებსაც უჭირთ პირველი თურმეობითის წარმოება და კონტექსტში გამოყენება. მთავარ პრობლემად დაასახელეს მასალის სირთულე, გრამატიკული მასალა მოსწავლეების დონის შეუსაბამოა, პირველი თურმეობითი B1 დონეზე უნდა ისწავლებოდეს. მათი აზრით მნიშვნელოვანია გრამატიკული მასალის მიწოდება მოხდეს საინტერესო, მრავალფეროვანი აქტივობებით. დაუშვებელია მოსწავლეებს ვაიძულოთ გრამატიკული წესების დახეპირება. კოლეგებმა, ასევე მთავარ პრობლემად დაასახელეს მშობლების ნაკლები ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათი ენის ფლობის დაბალი დონე.

კოლეგებმა მირჩიეს გაკვეთილი დამეტვირთა საინტერესო და სახალისო აქტივობებით,რათა მოსწავლეებისათვის სასწავლო მასალა გახდეს საინტერესო და მარტივად დასაძლევად.

### 5.3 კვლევის მიგნებები

კვლევის ჩატარების დროს ბევრი საინტერესო დეტალი შევნიშნე

- ❖ მასალის სირთულე, პირველი თურმეობითი მოსწავლეებისათვის არის რთულად დასაძლევადი. გრამატიკული მასალა არ შეესაბამება მათი ენის ფლობის დონეს(A2) . პირველი თურმეობითი მარტივად დასაძლევადი იქნება B1 დონეზე.ამის საფუძველს მაძლევს ჩემ მიერ შერჩეული დავალებები ,რომელსაც მოსწავლეთა უმრავლესობამ ვერ გაართვა თავი.
- ❖ საინტერესო,სახალისო აქტივობების სიმწირე გაკვეთილზე . მასწავლებელი არ უნდა დასჯერდეს მარტო სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშოებს და შეეცადოს, თავად შეიტანოს საჭირო დამატებითი მასალა;
- ❖ მოსწავლეების დაბალი მოტივაცია ისწავლონ ქართული ენა,ვერ ხედავენ ენის საჭიროებას.
- ❖ მშობლების არასაკმარისი ჩართულობა სწავლის პროცესში( ნაკლები ინტერესი შვილის აკადემიური მოსწრებისადმი/ ცუდად ფლობენ ქართულ ენას)
- ❖ მოსწავლეებს არ აქვთ მზაობა,რომ გრამატიკული ფორმები აუცილებელია კომუნიკაციური ამოცანის გადასაჭრელად.
- ❖ მწირი კომუნიკაცია ქართულ ენაზე (საუბრობენ მხოლოდ ქართული ენის გაკვეთილზე) .

### 5.3 კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის პროცესში წავაწყდი შემდეგ სირთულეებს:

- ❖ მოსწავლეების ცუდი დასწრება,რაც აქტივობების განხორციელებაში მიშლიდა ხელს.
- ❖ ენობრივი ბარიერი მშობლებთან ურთიერთობისას.
- ❖ პრველად განვახორციელე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა,რის გამოც კვლევის პროცესი მცირე ხარვეზებით წარიმართა.

## თავი VI ინტერვენციები


### 6.1 ინტერვენციების დაგეგმვა ,განხორციელება და შედეგების ანალიზი

პირველადი შედეგების გაანალიზების საფუძველზე დაგეგმე და განხორციელე ინტერვენციები :

- ❖ საინტერვენციო პერიოდში,კვირაში რამდენიმე საათს ვუთმობდით გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებას.(მოსწავლის წიგნისა და რვეულის პარალელურად), დავალებები იყო ზეპირიც და წერიტიც,მრავალფეროვანი,სახალისო. ვმუშაობდით კლასში,თუმცა გრამატიკული სავარჯიშოები ეძლეოდათ სახლში შესასრულებლადაც. ინტერვენციის დაწყებამდე ჩავატარე პრეტესტი. გამოიკვთა პირველი თურმეობითის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები,რომლის საფუძველზე დაგეგმე ინტერვენციები.
- ❖ **ზმნის ფორმების კლასიფიკაცია,ტექსტის ტრანფორმაცია**\_ ხშირად ხდება პირველი თურმეობითისა და წყვეტილის ფორმების აღრევა,ასევე უჭირთ პირველი თურმეობითის წარმოება.აღნიშნული პრობლემის დასაძლევად მოსწავლეებს შევთავაზე სავარჯიშოები ნაცნობი ლექსიკის გამოყენებით.
  1. წყვეტილისა და პირველი თურმეობითის ფორმები დაახარისხეს ცხრილში.(იხილეთ დანართი5)


აღნიშნულ დავალებას მოსწავლეების 55%-მა თავი გაართვა საშუალოდ,24%-მა კარგად, 21%-მა ცუდად.

**ზმნის ფორმების კლასიფიკაცია  
(მოსწავლეთა რაოდენობა წარმოდგენილია პროცენტულად)**



2. ტექსტში მოცემული წყვეტილის ფორმები გადაიყვანეს პირველ თურმეობითში.( იხილეთ დანართი 6)  
დავალეხას მოსწავლეების 60%-მა საშუალოდ გაართვა თავი, 20%-მა კარგად,15%-მა ძალიან კარგად, 9%-მა ცუდად.


**ტექსტის ტრანსფორმაცია  
(მოსწავლეთა რაოდენობა წარმოდგენილია პროცენტულად)**



მოცემული აქტივობების გამოყენება დადებითად აისახა მოსწავლეების შედეგებზე.

❖ ტექსტის შექმნა\_მოსწავლეებს ხშირად უჭირთ პირველი თურმრმეობითის ზმნის სწორად გამოყენება. აგრეთვე, პრობლემაა მოქმედების დროის გაგებასთანაც. მათთვის რთულად გასაგებია „თურმეს“ მნიშვნელობაც და მისი ადეკვატურად გამოყენება. შემდეგი აქტივობებიც არსებულ პრობლემის მოგვარებაზეა ორიენტირებული.

1. მოსწავლეები კომიქსების გამოყენებით „ზა ფორმების შეთავაზების გარეშე, დამოუკიდებლად შექმნეს ტექსტები, დაასათაურეს და წარადგინე კლასის წინაშე. ხდებოდა როლების გათამაშებაც. (იხილეთ დანართი7)  
დავალებას 59%-მა თავი კარგად გაართვა, 22%-მა სასუალოდ, 10%-მა ძალიან კარგად, 9%-მა ცუდად.




2. მოსწავლეებმა დაწერეს ტექსტი საკუთარი ბავშვობის მოგონებების

მიხედვით. წარადგინეს კლასის წინაშე (იხილეთ დანართი9)

მოსწავლეების 55%-მა დავალებას თავი კარგად გაართვა, 25%-მა ძალიან კარგად, 14%-მა საშუალოდ. 6%-მა ცუდად.


**ტექსტის შექმნა  
(მოსწავლეთა რაოდენობა წარმოდგენილია  
პროცენტულად)**




ტექსტების შედგენისას იყენებდნენ პირველი თურმეობითის ფორმებს .ეს იყო საინტერესო და სახალისო პროცესი,რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პრობლემის დამლევაში.

- ❖ **სინტაქსური კონსტრუქციების შედგენა** – მოსწავლეებმა ილუსტრაციების მიხედვით,შეთავაზებული ზმნის ფორმების გამოყენებით შეადგინეს წინადადებები. გააქტიურეს პირველი თურმეობითის ფორმები .მოცემული აქტივობა დადებითად აისახება ზეპირი და წერიტი მეტყვევების განვითარებაზეც,რაც მნიშვნელოვანია კომუნიკაციის სწორად წარმართვისათვის. დავალებას მოსწავლეების 55% თავი კარგად გაართვა,25%-მა ძალიან კარგად,12%-მა საშუალოდ, 4%-მა ცუდად.(იხილეთ დანართი 8)





- ❖ დიაგნოსტიკური განმეორებითი ტესტირება\_ინტერვენციების ბოლოს ჩვატარე დიაგნოსტიკური ტესტირება პირველი თურმეობითის წარმოება-გამოყენებაში.შედეგი გაუმჯობესებულია(იხილეთ დანართი 10) მოსწავლეების 59%-მა შეასრულა ტესტის 6 დავალება,23%-მა 5 დავალება,10%-მა 2 დავალება,ხოლო 8%-მა ტესტის ყველა დავალებას თავი წარმატებით გაართვა.



მიუხედავად იმისა, რომ მოცემული აქტივობები აგებული იყო ნაცნობ ლექსიკაზე, პირველი თურმეობითის წარმოება მოსწავლეებისათვის აღმოჩნდა რთული. პრობლემა კვლევას ისევ საჭიროებს, კვლევას გავაგრძელებ მომავალშიც.

## დასკვნა

მე-8 კლასში ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის პროცესი წარიმართა წარმატებით, საწყის ეტაპზე მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება, გამომწვევი მიზეზების დადგენა, დაიგეგმა და განხორციელდა სწორი ინტერვენციები. შედეგები გაუმჯობესებულია, თუმცა საკითხი ისევ საჭიროებს კვლევას. ვაგრძელებ მუშაობას.

კვლევის შინაარს და შედეგებს გაეცნენ კოლეგები, მივიღე უკუკავშირი. გამოთქვეს სტრატეგიების საკუთარ პრაქტიკაში გამოყენების სურვილი, მომავალში საინტერესო იქნება მათი პრაქტიკის გაზიარება.

## რეკომენდაციები

- აცილებელია სასწავლო მასალა შეესაბამებოდეს მოსწავლის ენის ფლობის დონეს, მორგებული უნდა იყოს მოსწავლის ინტერესებზე.
- გრამატიკული დავალებები უნდა იყოს საინტერესო, მრავალფეროვანი (ტექსტის შექმნა, წინადადებების შედგენა ილუსტრაციების გამოყენებით, შეათავაზებული ზმნის ფორმების კლასიფიკაცია, ტექსტის ტრანსფორმაცია, როლური თამაშები, დიალოგები) რათა არ მოხდეს მოსწავლის დემოტივაცია აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში.
- ნუ გავამახვილებთ ყურადღებას გრამატიკული წესების, ტერმინების ცოდნაზე. მნიშვნელოვანია მოსწავლემ კონკრეტული ენობრივი მასალა კონკრეტულ კომუნიკაციურ, სამეტყველო სიტუაციაში გამოიყენოს.
- აუცილებელია გრამატიკულ მასალაზე მუშაობას კვირაში დაეთმოს რამდენიმე საათი.
- მუდმივად გვქონდეს კავშირი მშობლებთან, შევეცადოთ მშობელი აქტიურად ჩაერთოს შვილის სასწავლო პროცესში.
- ვითანამშრომლოთ კოლეგებთან, ერთმანეთს გავუზიაროთ საკუთარი გამოცდილება.

## ბიბლიოგრაფია

[1] ეროვნული სასწავლო გეგმა \_2011-2016

<http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/mimdinare-esg-2011-2016>

[2] მაია ინასარიძე \_ „მეთოდოლოგიური მითითებები ქართულის როგორც მეორე ენის მასწავლებელთათვის“

[3] მურიელ სავილიე-ტროიკე „შესავალი მეორე ენის ათვისებაში“

<http://cciiir.ge/upload/editor/file/introducing%20second%20language%20acquisition.pdf>

<http://mastsavlebeli.ge/?p=3707>

[4] შანიძე 1973: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973;

პრეტესტი

1. რომელ ზმნას დაესმის კითხვა \_ რა მიქნია?  
ა. ვითამაშე      ბ. ვიცეკვებ      გ. მიმღერია
2. დაასრულეთ წინადადება :  
სანდროს გუმინ სკოლაში .....
- ა. უტირია      ბ. იტირა      გ. იტირებს
3. რომელი ზმნა გამოხატავს წარსულ დროს (I თურმეობითი)  
ა. დავწერე      ბ. შევჭამ      გ. მიჩხუბია
4. შეარჩიეთ სიტყვა რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში:  
ჩემსავით ..... ბავშვობაში ბევრი უცელქია.  
ა. მამას      ბ. მამა      გ. მამამ
5. რომელ წინადადებაშია შეცდომა :  
ა. გიორგის ბევრი უთამაშია      გ. ბებია მ ჩურჩხელები გაუკეთებია  
ბ. ახალი წლის ზეიმზე მიცეკვია
6. დაასრულეთ წინადადება :  
სანდროს და ილიას ქუჩაში .....
- ა. უჩხუბიათ      ბ. იჩხუბა      გ. იჩხუბებს
7. წინადადებას დაუსვი კითხვა:  
მზიას ლამაზი სურათი დაუხატია.  
ა. რა ქნა      ბ. რა უქნია      გ. რას იზამს
8. რომელი შესიტყვებაა სწორი  
ა. გიას უთამაშია      ბ. გია ითამაშა      გ. გიამ ითამაშებს

## დანართი 2

### ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან

- მოგწონს თუ არა ქართული ენის გაკვეთილი?
- რომელ აქტივობაში მოგწონს ყველაზე მეტად ჩართვა? ან რისი კეთება გიყვარს ყველაზე მეტად?
- გიყვარს თუ არა გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება?
- რა არის შენთვის ყველაზე რთული გრამატიკულ მასალაში?
- როგორ ფიქრობ, რა გამოგდით ყველაზე კარგად წერა, კითხვა თუ ლაპარაკი?
- ახერხებ დამოუკიდებლად თავი გაართვა ყველა ტიპის დავალებას?
- თუ რაიმეს შესრულება გიჭირს ვის მიმართავ ყველაზე ხშირად დასახმარებლად?

მადლობა ყურადღებისათვის!

### დანართი 3

#### ფოკუსჯგუფი მშობლებთან

- ფლობთ თუ არა ქართულ ენას?
- როგორ ფიქრობთ აუცილებელია თუ არა ქართული ენის შესწავლა?
  
- მოსწონს თუ არა თქვენს შვილს ქართული ენის გაკვეთილი?
- საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ თუ არა დაეხმაროთ თქვენს შვილს გაკვეთილის მომზადებაში?გრამატიკული დავალებების შესრულებაში?
- თქვენი შვილი დავალების მომზადებისას ,რას უფრო მეტ დროს უთმობს წერას თუ კითხვას ?
- როგორი ურთიერთობა აქვს თქვენს შვილს კლასელებთან, თანამშრომლობს თუ არა მათთან?

მადლობა ყურადღებისათვის!

## დანართი 4

ჩაღრმავებული ინტერვიუ კოლეგებთან:

რესპოდენტის კითხვები:

- ➡ გთხოვთ ,მოკლედ მომიყვეთ თქვენი სკოლის შესახებ.სად მუშაობთ? რომელ კლასებს ასწავლით?
- ➡ როგორი სიტუაციაა თქვენს სკოლაში ქართული ენის სწავლების მიმართულებით?
- ➡ როგორ ცდილობთ დააინტერესოთ მოსწავლე, რომელიც არ სწავლობს ქართულ ენას?
- ➡ როგორია მოსწავლეთა მზაობა გრამატიკული მასალის შესწავლისას?
- ➡ როგორ ფიქრობთ.,რატომაა მნიშვნელოვანი ამ პრობლემაზე მუშაობა ?
- ➡ თქვენი აზრით, რომელ საფეხურზე(კლასში)შეიძლება პრობლემის მარტივად დაძლევა?
- ➡ თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე,რა ტიპის პრობლემებს აწყდებით პირველი თურმეობითის სწავლებისას?

მადლობა ყურადღებისათვის!

დანართი 5

სახელი, გვარი \_\_\_\_\_

კლასი \_\_\_\_\_

დავალება

❖ მოცემული ზმნები დაახარისხე შესაბამის გრაფაში:

ითამაშა, იმღერა, უთამაშია, უცეკვია, დახატა, შეჭამა, უმღერია, იცეკვა, დაუხატია, იჩხუბა,  
ულაპარაკია, უჩხუბია, იტირა, დაუწერია, უცეკვია, ილაპარაკა, დაწერა, შეუჭამია

წვეტილი რა ქნა?	I თურმეობითი რა უქნია?
ითამაშა	უთამაშია



დანართი 6

სახელი, გვარი \_\_\_\_\_

კლასი \_\_\_\_\_

### დავალება

❖ წაიკითხე ტექსტი, მყოფადის ფორმები გადაიყვანე I თურმეობითში:

ხუთი წლის წინ, ჩემს დაბადების  
დღეზე შოკოლადის გემრიელი ტორტი  
ვჭამე. ბევრი ვიმღერე და ვიცეკვე  
მეგობრებთან ერთად.

---

---

---

---

---

დანართი 7

სახელი, გვარი \_\_\_\_\_

კლასი \_\_\_\_\_


დავალბა

❖ დააკვირდი სურათებს, სურათების დახმარებით ააგე ტექსტი, გამოიყენე პირველი თურმეობითის ფორმები. დაასათაურე, ტექსტის მიხედვით გაითამაშეთ როლები:


1



2



3



დანართი 8

სახელი, გვარი \_\_\_\_\_

კლასი \_\_\_\_\_

### დავალება

❖ სურათების მიხედვით შეადგინე წინადადებები პირველი და მეორე პირის ზმნების გამოყენებით:

წამიკითხია, დამიწერია  
გითამაშა, მიჩხუბია, წაგიკითხია  
დაგიწერია, გიჩხუბია, გვითამაშა



დანართი 9

სახელი, გვარი \_\_\_\_\_

კლასი \_\_\_\_\_

დავალება

❖ გაიხსენეთ და დაწერეთ „ჩემი პირველი დღე სკოლაში“

რა მიქნია?

თურმე .....

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

## დანართი 10

### სადიაგნოსტიკო ტესტი

1. რომელ ზმნას დაესმის კითხვა \_ რა მიქნია?  
ა. ვჭამე      ბ. ვიცეკვებ      გ. მითამაშია
2. დაასრულეთ წინადადება :  
სანდროს გუმინ სკოლაში .....
- ა. უმღერია      ბ. იმღერა      გ. იმღერებს
3. რომელი ზმნა გამოხატავს წარსულ დროს (I თურმეობითი)  
ა. დავწერე      ბ. შევჭამ      გ. დამიწერია
4. შეარჩიეთ სიტყვა რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში:  
ჩემსავით ..... ბავშვობაში ბევრი უცელქია.  
ა. დედას      ბ. დედა      გ. დედამ
5. რომელ წინადადებაშია შეცდომა :  
ა. დათოს ბევრი უთამაშია      გ. დეიდან ჩურჩხელები გაუკეთებია  
ბ. გაზაფხულის ზეიმზე მიცეკვია
6. დაასრულეთ წინადადება :  
გიას და ილიას ქუჩაში .....
- ა. უჩხუბიათ      ბ. იჩხუბა      გ. იჩხუბებს
7. წინადადებას დაუსვი კითხვა:  
ქეთის პატარა ძაღლი დაუხატია.  
ა. რა ქნა?      ბ. რა უქნია ?      გ. რას იზამს?
8. რომელი შესიტყვებაა სწორი  
ა. ანას წაუკითხია      ბ. ანა წაიკითხა      გ. ანამ წაიკითხავს